BAG საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

#22/04

03.06.2021

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ კახაბერ კუჭავას

ასლი: საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ დიმიტრი ხუნდაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და

ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ დავით სონღულაშვილს

ასლი: საქართველოს ბიზნესომბუდსმენს

ქალბატონ ნინო კვეტენაძეს

ბატონო კახაბერ,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ქვეყნის მასშტაბით უმსხვილესი ბიზნეს გაერთიანებაა, რომელშიც თავმოყრილნი არიან დარგის ლიდერი კომპანიები ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორიდან.

წევრების ობიექტური და სამართლიანი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მუდმივად ზრუნავს ქვეყნის ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე და საკუთარი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

საქართველო, თბილისი 0105
გიორგი ლეონიძის ქ. #2
ტელ.: 995 32 2202 215
ელ.ფოსტა: info@bag.ge

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-7414/21
"04" 06 2021 წ. ფურცელი 16

ჩვენ ნაყოფიერი თანამშრომლობის არაერთი მაგალითი გვაქვს როგორც საქართველოს პარლამენტთან, ასევე პირადად თქვენთან, საკანონმდებლო ორგანოში თქვენი წარმატებული მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მომართვა ამჯერადაც სათანადო ყურადღებას დაიმსახურებს თქვენი მხრიდან.

როგორც მოგეხსენებათ, 2017 წლიდან ქვეყანაში დაიწყო თამბაქოს ნაწარმის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმა და ამ მტკივნეულ გზაზე იმთავითვე შერჩეული იქნა ყველაზე რთული, რადიკალური რეგულაციები იმავე ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარებითაც კი; საბედნიეროდ, ამგვარი მიდგომის ნაკლოვანებები მალევე გახდა აშკარა და ეტაპობრივი ცვლილებების გზით „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი ნაწილობრივ დაუახლოვდა როგორც ევროკავშირის 2014 წლის #40 დირექტივას, ასევე ცალკეული ქვეყნების შიდა კანონმდებლობასა და კარგ პრაქტიკას.

მიმდინარე ეტაპზე, მაშინ, როდესაც ევროკავშირში ჯერ კიდევ მიმდინარეობს მსჯელობა თამბაქოს ნაწარმის ეფექტური კონტროლის შესაძლო ღონისძიებების და თამბაქოს ტრადიციული ნაწარმის ალტერნატივების პოტენციალის შესახებ, საქართველოში არსებული, ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით მნიშვნელოვნად მკაცრი კანონმდებლობის უცვლელად დატოვება, განსაკუთრებით ბაზარზე განთავსების და სტანდარტიზებული შეფუთვის ნაწილში, აუცილებლად გამოიწვევს შესაბამის ბაზარზე ორგანიზებული ბიზნესის კიდევ უფრო შევიწროებას და არალეგალური იმპორტის ირიბ წახალისებას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მიზნით წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას და მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა..

აქვე გიდასტურებთ, რომ ჩვენ მზად ვართ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული წინადადებების განსახილველად ნებისმიერ ფორმატში, საკითხით დაინტერესებულ ყველა სუბიექტთან ერთად.
წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისა და დახმარებისათვის.

დანართი: 15 ფურცელი.

პატივისცემით,

ლევან ვეფხვაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს კანონი

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №76, 29.12.2010, *მუხ.* 500) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ინტერნეტით ან ფოსტით (საცალო ვაჭრობა) (გარდა თამბაქოს აქსესუარისა ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობისა,“

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ნ) ვიტრინაზე, ვიტრაჟზე, დახლზე, თაროზე ან სხვაგვარად, ისე, რომ იგი ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის შიგნიდან (გარდა სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელასი, საფერფლისა და პორტსიგარისა, რომლებზედაც არ არის დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ნაწარმის (საქონლის) სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება, გარდა თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობისა, აგრეთვე საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებისა),

3. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“გ) პირდაპირი პერსონალური კომუნიკაცია (გარდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-12 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებისა), ქსელური მარკეტინგი, რომელიც ახდენს ან შეიძლება მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია;”

4. 5[1] მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“, “ა.ზ“ და „ა.ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) სტანდარტიზებული შეფუთვის გარეშე რეალიზაცია ან/და განლაგება.

5. მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„10. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“, „ა.ზ“ და „ა.ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და სხვა) და თითოეულ ღერზე ბრენდის, ლოგოს, სასაქონლო ნიშნის ან მისი აღმნიშვნელი სხვა ელემენტის გამოყენება. თამბაქოს ნაწარმის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“, „ა.ზ“ და „ა.ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და სხვა) ნებისმიერი წარწერა შესრულებული

უნდა იყოს ერთიანი, უნიფიცირებული შრიფტით, საქართველოს სახელმწიფო ენაზე და მითითებული უნდა იყოს მწარმოებელი ქვეყანა. ამასთანავე, აკრძალულია ფილტრიან სიგარეტზე, უფილტრო სიგარეტზე, პაპიროსზე, სიგარასა და სიგარილაზე რაიმე სახის წარწერის დატანა.“

6. 12[1] მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. 2025 წლის 1 იანვრამდე ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ახალი ნაწარმის და იმავე მუხლის „ა.ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გასახურებელი თამბაქოს თითოეულ შეფუთვაზე სამედიცინო გაფრთხილება შესაძლებელია განთავსდეს შესაბამისი პიქტოგრამის გარეშე. ამასთანავე, ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გასახურებელი თამბაქოს შემთხვევაში სამედიცინო გაფრთხილება შესაძლებელია არ იკავებდეს გვერდის საერთო ფართობის 30 პროცენტზე ნაკლებს, რომელშიც შედის შემომფარგვლელი ხაზები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზი გახლავთ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში თამბაქოს ახალ ნაწარმთან დაკავშირებით არსებული თანამედროვე მიღწევების და რეგულატორული პოლიტიკის ასახვის საჭიროება. სულ უფრო ხშირად ევროკავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლები თანხმდებიან, რომ თამბაქო და ნიკოტინის ნაწარმი, რომელთაც არ უკავშირდებათ წვის პროცესი, განსხვავდებიან ტრადიციული სიგარეტებისგან (ან თამბაქოს ნაწარმისგან, რომლებიც განკუთვნილია მოსაწევად), რის გამოც ისინი ტრადიციული სიგარეტებისგან განსხვავებულად უნდა დარეგულირდნენ. „თამბაქოს კონტროლის შესახებ “ საქართველოს კანონი, რომელიც უმეტესწილად ამოქმედდა 2018 წლის 1 მაისიდან, ძირითად შემთხვევებში ერთნაირად არეგულირებს თამბაქოს ყველა სახის ნაწარმს, ეს მიდგომა კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის 2014 წლის დირექტივისა და ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების შიდა კანონმდებლობისაგან.

2019 წელს თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა საქართველოს ბაზარზე თამბაქოს ახალი ნაწარმისა და გასახურებელი თამბაქოს ერთის მხრივ ლეგალური დაშვება, მეორეს მხრივ კი ამ ტიპის პროდუქტის რეგულირების ქვეშ მოქცევა, რაც ცალსახად დადებითი ფაქტია. მინიმუმამდე შემცირდა და პრაქტიკულად აღიკვეთა ამ ტიპის თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდის ფაქტები, პროდუქტი ბაზარზე ლეგალურად გახდა ხელმისაწვდომი და შესაბამისი პროდუქტის იმპორტისა და რეალიზაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

განვითარებულ ქვეყნებში თამბაქოს ახალი ნაწარმის ბაზარზე განთავსებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული რეგულაციები სულ უფრო მეტად განასხვავებს ერთმანეთისაგან ტრადიციული თამბაქოს ნაწარმს და მის ჩამნაცვლებელ ალტერნატივებს.

ევროკავშირის 2014 წლის 3 აპრილის დირექტივა ადგენს რა განსხვავებულ განმარტებებს თამბაქოს სხვადასხვა ნაწარმისათვის, დიდწილად განასხვავებს კიდევაც ერთმანეთისაგან ტრადიციულ თამბაქოს ნაწარმს და თამბაქოს ახალ ნაწარმს აქედან გამომდინარე შედეგებით - კერძოდ კი სხვადასხვა ტიპის თამბაქოს ნაწარმის მიმართ წაყენებული სხვადასხვა რეგულაციებითა და მოთხოვნებით.

2019 წელს თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების განხილვისას მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ თამბაქოს ტრადიციული ნაწარმისა და

თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ წაყენებული მოთხოვნები მხოლოდ დროებით, მცირე ვადით და ისიც ნაწილობრივ დარჩენილიყო განსხვავებული, რადგან განიხილებოდა შესაბამისი ევროდირექტივის ცვლილების შესაძლებლობა, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა თამბაქოს სხვადასხვა ნაწარმის მიმართ ერთიანი მიდგომის და მოთხოვნების ჩამოყალიბება.

დღეის მდგომარეობით, შესაბამისი ევროდირექტივა არ განახლებულა და უახლოეს მომავალში მისი განახლება ან მითუმეტეს ამოქმედება არაა მოსალოდნელი.

ამრიგად, საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობა ევროკავშირის დირექტივით გათვალისწინებულ სტანდარტზე უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს და ეწინააღმდეგება ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ბაზარი და ამ ბაზარზე არსებული თამბაქოს ინდუსტრია მოქცეულია იმგვარი რეგულატორული წნეხის ქვეშ, რაც მნიშვნელოვნად აღემატება თავად ევროკავშირში არსებულ სტანდარტებსაც კი, ეს კი ქმნის საფრთხეს, რომ არალეგალური პროდუქცია კიდევ დაბრუნდეს ბაზარზე, რაც თავის მხრივ მომხმარებლის მიერ საეჭვო წარმომავლობის, უხარისხო თამბაქოს ნაწარმის მოხმარების ზრდას და საბიუჯეტო შემოსავლების კლებას გამოიწვევს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ვინაიდან თამბაქოს ნაწარმის განთავსებისა და რეალიზაციის შემზღუდველი მოთხოვნები ასახულია თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში, მათი მოდიფიკაციისათვის აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება სწორედ ზემოხსენებულ საკანონმდებლო აქტში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად თამბაქოს ახალი ნაწარმისა და გასახურებელი თამბაქოს მიმართ საქართველოს კანონმდებლობით წაყენებული მოთხოვნები დიდწილად შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის 2014 წლის #40 დირექტივასთან, კერძოდ დასაშვები იქნება თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისათვის განკუთვნილი აქსესუარის (და არა თამბაქოს ნაწარმის) დისტანციურად შეძენა, შეზღუდვები აღარ შეეხება თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისათვის განკუთვნილი აქსესუარის განთავსებას სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში იმგვარად, რომ იგი ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის შიგნიდან; აგრეთვე შესაბამისი ობიექტის შიგნიდან ხილვადობის მიზნებისათვის შეზღუდვები აღარ შეეხება თამბაქოს ნაწარმს არა მხოლოდ აეროპორტის საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში, არამედ ნებისმიერი სახმელეთო საზღვრის საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაშიც.

პირდაპირი პერსონალური კომუნიკაციის პროცესში თამბაქოს ნაწარმის რეალიზატორს ექნება უფლება მომხმარებელს მიაწოდოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული ინფორმაცია, რითაც თავიდან იქნება აცილებული კანონმდებლობის მოთხოვნათა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია, რასაც პრაქტიკაში უკვე არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

სტანდარტიზებული შეფუთვის გარეშე (მაგრამ კანონმდებლობით დადგენილი გამაფრთხილებელი წარწერით/ეტიკეტირებით) დასაშვები გახდება ელექტროსიგარეტებთან ერთად თამბაქოს ახალი ნაწარმისა და გასახურებელი თამბაქოს ნაწარმის განთავსება და რეალიზაცია, ხოლო 2025 წლამდე გადაიწევს ვადა, რომლის განმავლობაშიც დასაშვები იქნება თამბაქოს ახალი ნაწარმისა და გასახურებელი თამბაქოს ნაწარმის ბაზარზე განთავსება და რეალიზაცია შესაბამისი პიქტოგრამის გარეშე.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად, „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში ჩნდება თამბაქოს ახალი ნაწარმის რეალიზაციისა და განთავსების მიზნებისათვის ერთგვარად სპეციფიკური, ტრადიციული თამბაქოს ნაწარმისაგან განსხვავებული პირობები და ვალდებულებები, კერძოდ:

კანონის მე-5 მუხლის მმე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტი ყალიბდება იმგვარად, რომ ნარჩუნდება თამბაქოს ნაწარმის ინტერნეტით ან ფოსტით საცალო ვაჭრობის აკრძალვა, თუმცა დაიშვება თამბაქოს აქსესუარისა ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ინტერნეტით ან ფოსტით გაყიდვა, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მათზე დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ნაწარმის (საქონლის) სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება.

კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის ახალი რედაქციით, შიდა ხილვადობასთან დაკავშირებული აკრძალვა არ ეხება თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილ მოწყობილობას; აღნიშნულის გარდა, ნორმის ახალი რედაქციის მიხედვით შიდა ხილვადობის აკრძალვისაგან გამონაკლისი შეეხება არა მხოლოდ აეროპორტში საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებს, არამედ ნებისმიერი (მათ შორის სახმელეთო) საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებსაც.

კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის ახალი რედაქციით ზუსტდება, რომ პირდაპირ პერსონალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებული აკრძალვები არ ეხება შემთხვევებს, როდესაც პროდუქტის რეალიზატორი მომხმარებელს/შემძენს აწვდის საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მუხლი 12), სავალდებულო ინფორმაციას, კერძოდ:
ა) პროდუქტის დასახელება და სახე;
ბ) პროდუქტის დამამზადებლის საფირმო სახელწოდება და მისამართი, იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამზადებულია პროდუქტი;
გ) შესაბამის შემთხვევაში – იმ პროდუქტის ვარგისობის ვადა (პროდუქტის გამოყენების ბოლო თარიღი ან დამზადების თარიღი და შენახვის ვადა), რომლის სამომხმარებლო თვისებები დროთა განმავლობაში უარესდება;
დ) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის წონა ან/და მოცულობა;
ე) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხა;
ვ) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის შედეგიანი და უსაფრთხო გამოყენების წესები და პირობები, აგრეთვე შენახვის სპეციალური პირობები;

ზ) მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ დათქმის შემთხვევაში – საგარანტიო ვადა ან/და სხვა ვალდებულებები;
თ) პროდუქტის ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები და მათი განუხორციელებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები.

5[1] მუხლის 1-ლი პუნქტი ყალიბდება იმგვარად, რომ სტანდარტიზებულ შეფუთვის ვალდებულება არ ვრცელდება კანონში მოგვიანებით (2019 წელს) დამატებულ, თამბაქოს ნაწარმის ორ სახეობაზე - თამბაქოს ახალ ნაწარმზე და გასახურებელ თამბაქოზე.

კანონპროექტი ახლებურად აყალიბებს მე-6 მუხლის მე-10 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და სხვა) და თითოეულ ღერზე ბრენდის, ლოგოს, სასაქონლო ნიშნის ან მისი აღმნიშვნელი სხვა ელემენტის გამოყენების შეზღუდვა არ ვრცელდება კანონში მოგვიანებით (2019 წელს) დამატებულ, თამბაქოს ნაწარმის ორ სახეობაზე - თამბაქოს ახალ ნაწარმზე და გასახურებელ თამბაქოზე; ამასთანავე უცვლელი რჩება კანონის დანარჩენი მუხლები, რომლებიც აწესრიგებენ შეფუთვაზე გამაფრთხილებელი წარწერის ფორმას და განთავსების წესს.

კანონის 12[1] მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვადა (2022 წლის 1 იანვარი), რომლის დადგომამდეც დასაშვებია თამბაქოს ახალი ნაწარმისა და გასახურებელი თამბაქოს შეფუთვაზე სამედიცინო გაფრთხილების განთავსება პიქტოგრამის გარეშე, ხოლო გასახურებელი თამბაქოს შემთხვევაში სამედიცინო გაფრთხილება შესაძლებელია არ იკავებდეს გვერდის საერთო ფართობის 30 პროცენტზე ნაკლებს, გრძელდება ორი წლით - 2025 წლის 1 იანვრამდე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში

(კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის

უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რადგან მისი მიღება არ გამოიწვევს რაიმე დამატებითი ვალდებულების ან ხარჯების წარმოშობას სუბიექტებისათვის, ვის საქმიანობასაც შესაძლოა ის შეეხებოდეს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

არ მოითხოვება კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტი ნეგატიურ გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოსთვის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი დადებით ფინანსურ გავლენას იქონიებს იმ პირებზე, რომლებიც ექცევიან კანონპროექტის რეგულირების სფეროში, კერძოდ, პროექტით გათვალისწინებული პირებს შესაძლებლობა ექნებათ კონკრეტული თამბაქოს ნაწარმის ბაზარზე განთავსება და რეალიზაცია მოახდინონ ზუსტად იმგვარი პირობებით, როგორიც დადგენილია ამ ნაწარმისათვის ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში, ეს კი მისცემს მათ შესაძლებლობას, არ გაიღონ დამატებითი ხარჯები (შეფუთვის/ეტიკეტირების ნაწილში) მხოლოდ საქართველოს ბაზრისათვის და თავიდან აიცილონ კანონის ნორმათა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციით გამოწვეული, სანქცირებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე, რადგან თამბაქოს ნებისმიერი ნაწარმის ნებისმიერი ფორმით რეალიზაცია არასრულწლოვანებზე კვლავაც აკრძალული რჩება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივას, უფრო მეტიც, სწორედ ევროკავშირის 2014 წლის #40 დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ისახავს მიზნად.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ააიპ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30.05.2017, სარეგისტრაციო კოდი: 340150000.05.001.018458) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2025 წლის 1 ივლისამდე საქართველოს მთავრობამ მიიღოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 5^1 მუხლის მე-2 პუნქტითა და ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-6 მუხლის მე-9–მე-12 პუნქტებით განსაზღვრული ნორმატიული აქტები.“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი და მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 31 დეკემბრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს თამბაქოს კონტროლის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტიზებული შეფუთვის იმპლემენტაციისათვის დამატებით გონივრული ვადების დადგენა, რადგან დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა (2022 წლის 31 დეკემბრამდე) ზედმეტად მცირეა სტანდარტიზებული შეფუთვის წესზე გადასასვლელად, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ჯერ არაა მიღებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

კანონპროექტის მიზანია თამბაქოს ნაწარმის ერთგვაროვან შეფუთვასთან დაკავშირებით რეგულაციის ამოქმედებამდე კიდევ ერთხელ განისაზღვროს დამატებითი ვადა, რათა ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების პრაქტიკის და გამოცდილების გაანალიზების გზით შეფასდეს ახალი რეგულაციის ეფექტურობა, ფისკალური ზეგავლენა და ასევე გათვალისწინებულ იქნეს ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებული საწარმოო პროცესების სირთულე/მრავალფეროვნება.

აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თავად ევროკავშირის ქვეყნებშიც კი სტანდარტიზებული შეფუთვის მიმართ არაერთგვაროვანი პრაქტიკა და მიდგომებია; ასე მაგალითად, დღემდე სტანდარტიზებული შეფუთვის გარეშე ხდება თამბაქოს ნაწარმის განთავსება უნგრეთსა და ნიდერლანდებში. ამასთან, უნგრეთში ერთხელ უკვე მოხდა აღნიშნული შეზღუდვის ძალაში შესვლის გადავადება. სტანდარტიზებულ შეფუთვაზე გადასვლის პროცესი საერთოდ შეჩერებულია ფინეთსა და ლიტვაში, ხოლო ბელგიასა და დანიაში 2021 წლიდან შევიდა ძალაში ეს შეზღუდვა, რაც შეუძლებელს ხდის მათი გამოცდილების გაზიარებას.

სტანდარტიზებული შეფუთვა წარუმატებელი აღმოჩნდა ყველა ბაზარზე, სადაც მისი იმპლემენტაცია განხორციელდა და ვერ უზრუნველყო დასახული მიზნების მიღწევა. მთელი რიგი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, შვედეთი, შვეიცარია, გერმანია, იტალია, ალბანეთი, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაცია, საკუთრების უფლებების ალიანსი და ა.შ. არ ემხრობიან ამ შეზღუდვის შემოღებას.

იმისათვის რომ ახალი რეგულაციის ზეგავლენის სრულყოფილად შეფასება მოხდეს, მნიშვნელოვანია მისი საზღვარგარეთის ქვეყნებში ფართოდ დანერგვიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ (2-3 წელი) განხორციელდეს აღნიშნული რეგულაციის ზეგავლენის შეფასება, სათანადო დოკუმენტის მომზადება და მხოლოდ მიღებული შედეგების გათვალისწინებით დაიწყოს რეგულაციის დანერგვა. ყოველივე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ თამბაქოს სტანდარტიზებულ შეფუთვასთან დაკავშირებული რეგულაციების ამოქმედების ვადა იყოს გონივრული და ადეკვატური იმ საწარმოო პროცესებისა, რომლებიც კავშირშია თამბაქოს სტანდარტიზებულ შეფუთვასთან და რეგულაციის ზეგავლენის ეფექტის სრულყოფილად შეფასებასთან, კერძოდ - არაუადრეს 2025 წლის 31 დეკემბრისა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ვინაიდან თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის წესის ამოქმედების ვადა განსაზღვრულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს კანონით, ვადის ცვლილება მიზანშეწონილია განხორციელდეს იმავე კანონში ცვლილების შეტანის გზით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სტანდარტიზებული შეფუთვის წესის ამოქმედება გადაიწევს 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სტანდარტიზებული შეფუთვის წესის ამოქმედებას 2025 წლის 31 დეკემბრიდან ნაცვლად 2022 წლის 31 დეკემბრისა; ამასთანავე, 2025 წლის 1 ივლისამდე ხანგრძლივდება ვადა, რომლის განმავლობაშიც საქართველოს მთავრობას განსაზღვრული აქვს ვალდებულება, გამოსცეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში

(კანონპროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის

უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რადგან მისი მიღება არ გამოიწვევს რაიმე დამატებითი ვალდებულების ან ხარჯების წარმოშობას სუბიექტებისათვის, ვის საქმიანობასაც შესაძლოა ის შეეხებოდეს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

არ მოითხოვება კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტი ნეგატიურ გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოსთვის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი დადებით ფინანსურ გავლენას იქონიებს იმ პირებზე, რომლებიც ექცევიან კანონპროექტის რეგულირების სფეროში, კერძოდ, პროექტით გათვალისწინებული პირებს შესაძლებლობა ექნებათ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში თამბაქოს ნაწარმის ბაზარზე განთავსება და რეალიზაცია მოახდინონ უცვლელი და არ გაიღონ დამატებითი ხარჯები, რაც, როგორც წესი, ასევე აისახება შესაბამისი ნაწარმის მომხმარებელზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივას.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ააიპ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: